

გოდუღის

№6, 2016



მაკა გოგუა

მეზღვაუხის სიმღერა


ეს ზღვა არი;
ეს კი გემი;
მე ვარ მისი კაპიტანი,
ჩემი ძმა და ჩემი დაა მთელი ჩემი ეკიპაჟი!
აღმოვაჩენ ახალ კუნძულს, გავჭრი ახალ არხს,
მეკობრეებს დავამარცხებ, დავცემ შიშის ზარს!
მარჯნის რიფებს აღმოვაჩენ და ავასხამ მძივს,
არც ერთ ვაჭარს არ დავუთმობ, რომც მიხდიდეს ძვირს!
მე რად მინდა მძივი გრძელი? – მინდა, სატრფოს ვთხოვო ხელი.
მეფის ქალი არა მხიბლავს, მიყვარს ჩემი მეზობელი.
შებინდდა და დედა გვიხმობს,
დაბრუნდითო ჩქარა სახლში.
– რას ჩამსხდარხართ, თხუპნიებო,
გოჭებივით გუბურაში!



მხატვარი
ლიკა გურგენიშვილი

კ ლ ი უ უ რ ი

– იფ, როგორ მიხდება თეთრი ქუდი! – მოეწონა ქალბატონ ციცას თავი სარკეში. ერთხელ კიდე შეავლო თვალი ფართო შავი ხალებით დაფოთლილ-დაფორეჯებულ ღია ნაცრისფერ ქურქს და კალთები ისე გულიანად ჩამოიბერტყა, ნაპერწკლები გააყრევინა. მერე მარჯვენა თათით ბეჯითად გადაიბზინა თავისი საამაყო ქათიბი; წამწამებიც აიპრისხა; ერქარებოდა, მაგრამ სახლიდან მოუნესრიგებელი, აჩაჩულ-დაჩაჩული ხომ არ გავიდოდა, თავს უბნის ჭორიკნების დასაცინად ხომ არ გაიხდიდა! თუმცა იცოდა, რომ ზოგიერთები კოპნიაობასაც უძრახავდნენ, მაგრამ ქალბატონი ციცა ამას არ დაგიდევდათ, „მოცლილებს“ მიეთ-მოეთზე პანია ცხვირს ოდნავ შესამჩნევი ღიმილით აიბზუებდა და ეგ იყო. ავი სიტყვა არასოდეს დასცდებოდა, თითქოს სანყენი არაფერი გაეგონოს... ამისთვის არც ეცალა, რადგან საქმე მუდამ თავსაყრელად ჰქონდა.



იმ დღესაც ადრიანად გაიღვიძა; ყველაფერს თავ-თავისი ადგილი მიუჩინა. შვილიც გააღვიძა, ხომ არ დაგავინყდა, რომ დღეს დეიდას სანახავად მივდივარ? დროზე უნდა გასაუზმო, სადილ-სამხარი გაგიმზადო, გასვა, გაჭამო, რომ მერე ჩემს საქმეს ვენიო. ხომ იცი, ხელცარიელი ვერ წავალ, უნდა გამოვაცხო რამეო.

რა, რა და, ციცუნიას დილის ძილი ძალიან უყვარდა, მაგრამ დედამ, ჩემთან ერთად თუ არ ისაუზმებ და ნამცხვრისა და ხაჭაპურების გამოცხოებაში არ დამეხმარები, ავდგები და სავსე ტოლჩით ცივ წყალს ჩაგიქივლებ ლოგინშიო.

ჰოდა, როგორც იქნა, წამოიზღაზნა, დაამთქნარა, გაიზმორა და დედასთან ერთად მიუჯდა მაგიდას.

– თათები?! – წარბი შეიკრა დედამ.

– ჰოო, ჰოო, – უხალისოდ წამოდგა ციცუნია და აბაზანაში შევიდა. ნასაუზმევს გუნება გამოუკეთდა, ჭურჭელს მე გავრეცხავო, თქვა.

– მაშინ მე სადილ-სამხარს მივხედავ და დეიდასთან ნასასვლელად გავემზადები, – გაუხარდა ქალბატონ ციცას. – მაგრამ შენი ხელმარცხიანობის ამბავი რომ ვიცი, ემანდ, რამე არ გამიტეხო!

ციცუნია, ნუ გეშინიაო და, თუმცა ერთ ლამაზ ფინჯანს ყური მოსტეხა, ასე იყო თუ ისე, ჭურჭელი გარეცხა. დედამ, არა უშავს, საქმეს ხელს შეაჩვევ და მერე უკეთ გააკეთებ ყველაფერსო.





– ადრე რომ გამაღვიძე, ძილი დამაკლდა და ფინჯანიც ამიტომ გამიტყდაო, უძილობა მომიმიზეზა იმანაც და ტახტზე არხეინად წაკოტრილდა.

დედამ შვილი დროზე ასადილა და მოგვიანებით სამხარიც მიართვა. მერე მორჩენილი პური, ნამცხვარი და ხაჭაპური საკუჭნაოში წაიღო, კიდობანში შევიწინახავო. უკან გამოსვლა რომ დააპირა, ფხაჭუნი შემოესმა. ყურადღებით მიმოიხედა და საკუჭნაოს შესასვლელთან იატაკზე რაღაც შავ-შავი ნამცეცები დაინახა.

– ერიჰაა! – ემცხეთა ქალბატონ ციცას. დასწყევლოს ღმერთმაო, შეფიქრიანდა, მაგრამ თავი დაიიმედა: – ყველა მე შემომნატრის, ბედნიერი ხარ, შვილი წამოგენიაო. მეც ავდგები და ციცუნიას დავავალებ, კატკატუნიანთ თედოს დაათვალიერებინოს ეს ჩვენი კიდობანი. თუ გამოლრღნილ-გამოხვრეტილ ადგილს აღმოაჩენენ, პური და ნამცხვარი ჭურჭლის კარადა-

ში შეინახოს. კიდობანს ან შევაკეთებინებ, ან ახალს შევიძენ. აბა, რა ვქნა, ამ ქურდბაცაცებს ხომ არ გავაპარპაშებ! დამაცადონ, ცეცხლის საჩხრეკი რკინით დავერევი, ცხრა მთას იქით დავიფრენ და მაგათ სინსილას გავაქრობ აქაო.

აი, სწორედ ასეთი ფიქრებით ძალმოცემული და გამხნევებული გახლდათ ქალბატონი ციცა, როცა საკუთარ საძინებელში სარკის წინ კოპწიაობდა. ის იყო, კიდევ ერთხელ შეკვნივალდა, რათა საკუთარ მომხიბვლელობაში საბოლოოდ დარწმუნებულიყო, რომ ქუჩიდან მხიარული სიმღერა შემოიჭრა: „ქუდი გვერდზე დაგიხურავს, არლალალი, არლალალოო...“ კატკატუნიანთ თედოს ხმა უნდა იყოსო, ციცამ და ქუდი მაშინვე გვერდზე მოიქცია. ერთხანს უყურა, აბა, ასე თუ მიხდებაო. რატომღაც არ მოეწონა და ისევ გაისწორა; მერე აიბზიკა ფუმფულა კუდი და მზერა კვლავ სარკისკენ გაექცა. არა მიშავს, მშვენიერი ფისუნია ვარო, საკუთარ თავს თვალი ეშმაკურად ჩაუბაჭუნა სარკეში, საძინებლის კარი გამოაღო და...

– ციცუუ! ციცუნია! – გასძახა შვილს.

– რა იყო, დეე!

– ფანჯრის რაფაზე რომ კალათა დგას, მომანოდე...

პასუხმა დაიგვიანა და ქალბატონ ციცას გაახსენდა, რომ საკუჭნაოსა და პურის კიდობანზე შვილისთვის არაფერი უთქვამს. იფიქრა – შევალ, კალათასაც ავიღებ და ციცუნიას საკუჭნაოსა და პურის კიდობნის ამბავსაც ვეტყვიო. ის იყო, ღუმლიან ოთახში შევიდა და ახალი ამბის სათქმელად პირიც გააღო, რომ ციცუნია, აქაოდა, დედას თავს მოვანონებო, ისკუპა და კალათას სახელურზე ჩამოეკონწიალა. კალათა წაიქცა... მართალია, არც კალათა და არც პოლიეთილენის პარკებში ჩანყობილი ნამცხვრისა და ხაჭაპურის ნაჭრები იატაკზე



არ გადმოცვენილა, ქალბატონი ციცა მაინც შეშინდა, ვაითუ, ჩემს ნახელავს პენი შეეშალაო და პარკებს ეცა; კიდევ კარგი, ყველაფერი წესრიგშიაო, შვებით ამოისუნთქა. შვილს კი უსაყვედურა, – რატომ ხარ ასეთი ცეტი, ჭკუა აღარ უნდა ისწავლოო? დავბრუნდები და დაგელაპარაკები, როგორც საჭიროაო. პურის კიდობანზე კი გააფრთხილა: კატკატუნთან თედოს დაათვალიერებინე და, თუ კიდობანი დაღრღნილ-დახვრეტილი აღმოჩნდეს, პური და ნამცხვარი მაშინვე ჭურჭლის კარადაში შეინახეო. ხომ გესმის, რას გეუბნები? არ დაგავინყდეს, თორემ ხვალ დილით საუზმეზე მშივრები დავრჩებით. – გაიგე? – ისევ ჩაეკითხა დედა ციცუნიას, რომელსაც მთელი ყურადღება ახლა ფანჯრის მიღმა ქუჩაში მოსეირნე სენ-ბერნარის ჯიშის ძაღლზე გადაეტანა.

– ჰა, არ გესმის? – ხმას აუნია ქალბატონმა ციცამ.

– მესმის, დე, მესმის. შენ მაგის დარდი ნუ გაქვს, პურსაც მივხედავ და პურის კიდობანსაც.

დედა კარებამდე მიაცილა, კარი ჩაკეტა, ერთხელაც გაიზმორა და ცოტა ხანს ღუმელთან გაშლილ ფარდაგზე იკოტრიალა, მერე მუცელზე განვა, თათები ნიკაპქვეშ ამოიდო და იმისთანა ძილი გამოაცხო, ვერც იგრძნო, როგორ გადაურბინა ზედ საკუჭნოდან გამოცუნცულეზულმა რამდენიმე თაგვმა – არ ვიცი, ვერ მიხვდნენ, რა სულიერი იყო, არ ვიცი, არ ეშინოდათ, რადგან მისი ძილისგუდობის ამბავი მათთვის ახალი ხილი არ იყო. მართლაც – წრუნუნების ცუნცული კი არა, დედის მოსვლაც ძლივს გაიგო, – ლამის ნახევარი საათი რეკავდა ზარს ქალბატონი ციცა. ვიდრე იქვე აღმოჩენილი შემის ნაპობი არ აიღო და კარს ბრახაბრუხი არ აუტეხა, ციცუნის გამოფხიზლება არ იქნა. ერთხანს კიდევ იწვა გამოყეყეჩებული, მერე, როგორც იქნა, გონს მოეგო. ქალბატონ ციცას, შვილი რომ ცოცხალი დაინახა, სიხარულით ტირილი აუვარდა, თურმე ასე ეგონა, დავიღუპე და ეს არის, ჩემს ციცუნიას რაღაც უბედურება შეემთხვაო... აღარც პური გახსენებია, აღარც პურის კიდობანი, ჩაეხუტა თავის ლამაზ ციცუნიას და ნერვიულობისა და ტირილისაგან დაოსებულს მასთან ერთად იქვე, ფარდაგზე ჩაეძინა. მეორე დღეს, ზუსტად არ ვიცი, რა

მოხდა, ოღონდ ეგ იყო, რომ უბანში ცნობისმოყვარე და ყოვლისმცოდნე კაჭკაჭუნამ ასეთი ხალისიანი ლექსი გაავრცელა:

*ციდა ცინდალს – ციცუნიას
ქალბატონმა ციცამ
ნასადილევს ერთი მცირე დავალება
მისცა:*

*ნახე, შვილო, მთელი დღე რომ
თამაშობ და ანცობ,
თავი ხომ არ შეეჩვია
პურის კიდობანსო?*

*– კარგი, კარგი, – თქვა ცინდალმა,
დედაც დაიფიცა,
გაახარა, დაამშვიდა ქალბატონი ციცა,
მაგრამ იქვე გაგორდა და ღუმელს
მიეფიცხა...*

*მეორე დღეს: – აბა, პური?
სადღა არის პური?*

*– მაშ, რა ჭამა ციცუნიაში?
– რა და – ალიყური!*

ასე იყო, კაჭკაჭმა და დასძინა, გულისხმაჰყავით, რომ უგულისყურო და უპასუხისმგებლო ციცუნისაგან ალიყური თქვენც არ გაჭამონო.

ვიღაცას შეეცოდა და სანყალიო, თქვა...
ვიღაცამ ნიშნი მოუგო, ახია მაგაზეო...


ჩვენ დავუმატებთ: ერთი ალიყური ჯანდაბას, მაგრამ, უპიროსა და უპასუხისმგებლოს რომ შეგარქმევენ, ვერ არის კარგი საქმე! – აკი ჭკვიან კაცს უთქვამს: „სახელის გატეხას თავის გატეხა ჯობსო!“

**მხატვარი
ვაჟა ქურხული**




ამ თავსატეხისთვის ცხრა ცხოველი შევარჩიეთ. წრის თითოეულ ნაწილში სამ-სამი ცხოველია. იპოვე ის სამი ნაწილი, რომლებშიც ცხრავე გმირია და არც ერთი არ მეორდება.

თუ პირველ დავალებას სწორად შეასრულებ, საკვანძო სიტყვის შემადგენელ სამ ასოს იპოვი. ახლა კი ეს სიტყვა ცენტრში ჩაწერე.



მგელუკა და ჯინსი

გუშინ ჩვენი მგელუკა
ცამეტი წლის შესრულდა,
ელოდება საჩუქარს,
საჩუქრად კი რა უნდა?!
დახეული,
გაცვეთილი,
გახეხილი
ძველი ჯინსი!



ბრაზობს ძლიერ მამა მგელი:
– გამიგია ყველაფერი!
მაგრამ ასე შემოსილი
ჩვენი გვარი, ჩვენი ჯიში?!
აქეთ ბრაზობს დედა მგელი:
– მომიკალი, შვილო, გული,
სად გინახავს მგელი ჯინსით,
ჯინსით, თანაც დახეულით?!
მგელუკას კი გაგონება
არ სურს სხვა არაფრის, არა!
– ანტილოპას რომ აცვია,
მინდა ჯინსი იმისთანა!
ბებია მთქვა: – რატომ გიკვირთ?
დაგავინწყდათ თქვენი თავი?
თქვენ არ გეცვათ ამ ასაკში
ტანსაცმელი ამდაგვარი?
გაილურსნენ დედა, მამა:
– არ ვიყავით ამის ღირსნი!
და მგელუკას მოუტანეს
დახეული ძველი ჯინსი!!!



მხატვარი
ანნა კანდელაკი



გონიერების ზარდახშა

უკუაქვარი ღირსების ეისაღვით

ერთ საზეიმო მიღებაზე ალექსანდრე მაკედონელმა სტუმრებს მიმართა:
– თუ რამ უთხოვიათ, უარით არავინ გამისტუმრებია; რასაც ითხოვდნენ, მიმიცია.

ამ დროს შეკრებილთაგან ერთმა თქვა:

– ო, დიდო მეფეო, მაჩუქეთ დირჰამი (მონეტა).

– არ ეგების მეფისთვის ასეთი წვრილმანის თხოვნა, – შენიშნა დიდმა მხედართმთავარმა.

– თუ თქვენთვის სამარცხვინოა დირჰამის ჩუქება, მაშინ მაჩუქეთ თქვენი სამეფო.

მბრძანებელი წამით ჩაფიქრდა და მერე ასე უპასუხა:

– პირველად რაც მთხოვე, ჩემს ღირსებას არ შეეფერებოდა, მეორე თხოვნა კი – შენსას.

საქართველი, სიქართლა, საქართლიანოზა

საჩივრების განხილვისას, ბრალმდებელს რომ უსმენდა, ალექსანდრე მაკედონელი ცალ ყურს ყოველთვის თითით იცობდა.

– რატომ იქცევით ასე, მბრძანებელო? – ჰკითხა ერთხელ ხელქვეითთაგან ერთ-ერთმა.

– როცა ერთი ყურით ბრალმდებელს ვუსმენ, მეორეს ვუფრთხილდები, – ბრალდებულსაც ხომ უნდა მოვუსმინო?

მომზადა ალექო გაბელაია



ბნელია რიქობა

თინა ჭაჭია



მხატვარი გიორგი ჩაჩანიძე

– ჰოო, რა თქვი, გოგა? შენ რომ დიდი იყო, რას იზამდი? – ეუბნება სოსო ბაბუა პატარა გოგას.

ეზოში სხედან ცისფერ სკამზე, შუაში ახალი გაზეთების დასტა დევს. სკამის გვერდით გოგას ველოსიპედი დგას. წითელი, ლურჯზოლიანი ბურთიც იქვეა.

გოგა ბაბუამისივით ფეხიფეხზე გადადებული ზის. მარჯვენა მკლავი სკამზე ჩამოუდვია, წარბიც ოდნავ შეჭმუხნია – ეტყობა, რაღაცაზე სერიოზული საუბარი აქვთ, თორემ გოგას შენ გააჩერებ?

ყვითლად გადაფეთქილ წარგის ორი მასავით ყვითელი პეპელა დასტრიალებს, თითქოს ერთმანეთის კოცნა უნდათო. გოგა პეპლებს უყურებს და ბაბუას ეკითხება:

– ბაბუ, მითხარი, ეს პეპლები ყვავილზე სხდებიან თუ ერთმანეთს ეფერებიან? დასხდნენ, თუ უნდათ!

– მე მგონი, იქ უნდა დასხდნენ, – ელიმება ბაბუას.

– არა, მართალი მითხარი, – არ ელიმება გოგას.

– თან ეფერებიან, თამაშობენ, მერე დასხდებიან, ალბათ, – ისევ ელიმება ბაბუას.

– დიდებმა სულ ასე იცით. იმ დღეს მზია დეიდა გამინყრა, ბათურას ლეკვს ვეფერებოდი და ნუ ეფერებო. რაღა-მეთქი. ბენვი აგყვებო. რა იცი-მეთქი, ალბათ, ვიცისო. ბაბუ, მითხარი, რატომ ამბობთ ყველაფერზე ალბათ, ალბათო?


ბაბუა ილიმებოდა.

პეპლებმა წარგის თავი ანებეს და ახლა გვირილას დასტრიალებდნენ. შეხედა გოგამ და ბაბუას უთხრა:

– ბაბუ, ძნელია დიდობა. დიდებმა ყველაფერი არ იცით. ამიტომ ამბობთ, ალბათ, ალბათო.

ბანგარას და ჩო და ბანბახა

ტექსტი ლელა ცუცქერიძისა
მხატვარი იულია ნიკოგოსოვა



- აჰ, მგონი,
არავენაა.

- არ შეხვიდეთ! რვაფეხა შეიძლება
ერთი ბენო ნიჟარამიც კი იყოს
ჩამალული, ან ზღვის ვარსკვლავს
ჰგავდეს, ან წყალმცენარეს, ან
სულაც ქვიშას და ვერ
შევაძრნით.

მე არ მეშინია,
ისეთს
დავუღრიალებ,
გულს
გავუხეთქავ.



- მაგით არაფერი მოუვა,
სამი გული აქვს. თანაც
გველუშაპივითაა, ფეხი რომ
მოაჭრა, ისევ გაეზრდება.

- ეს მეც კი არ ვიცოდი,
მართლა საშიში
ყოფილა, მაგრამ იქ
ვიღაცას ჩვენი შველა
სჭირდება!



- არ გაინძრეთ!
ასე რვაფეხა ვერ
შეგამჩნევთ. მე
ახლავე მოვალ!

- მე ასე ვერ
დავდგები!

ჩემი თავგადასაცემი კასეტაში არიან



- ჩუ, მიშველე,
ველარაფერს ვხედავ
და ველარც ვინძრევი.

- ეს იმიტომ, რომ ჯიუტი ხარ და
სომალდისკენ მაინც ნახვედი.
რვაფეხამ შეგვამჩნია და შხამიანი
მელანი გამოუშვა.



- მიშველეთ, ტანზეც
რაღაც შემომეხვია!
ალბათ, რვაფეხას
ფეხია!

- მეც შენს დღეში ვარ,
ზანზარა, მალე თევი
მოვა და გვიშველის!



-მშვიდობით, ჩუ!
თევი ალბათ
ველარც მომისნ...

- ზანზარა,
ზანზარააა!

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ბ ა ყ ა ყ ი

იყო ერთი ბაყაყი –
გაბერილი, ამაყი,
დადიოდა ტაატით,
მას უყვარდა ტრაბახი.

შეუყვარდა წერო –
უნდა გამომყვეო.
წერომ ბევრი აწვალა,
არც ხო უთხრა, არც არა.

დააკვირდა, იწყინა,
მერე ბევრი იცინა.
გაეპრანჭა, აკოცა,
ცოტა წაელლაბუცა.

აბურთავა, აფრინა,
პირში გადააფრინა.

თ ე ჯ შ ი

მუდამ ჰყვება თავის ამბებს –
სად იყო და სად არა,
ვინ რა უთხრა, ვინ არ უთხრა,
ვინ ნახა და ვინ არა.

ჰყვება, როგორ იყო ზღვაში –
წყლის ცხენები ატარა,
ვარსკვლავებთან ითამაშა,
დეღფინთან დრო ატარა.

გადაურჩა ზვიგენს, ვეშაპს,
წყლის კუმ ზურგით ატარა.
რვაფეხასთან იყო სტუმრად –
ცხრა ზღვა გადაატარა...

ჰყვება მუდამ გატაცებით,
აფჩენს პირს და არ ესმის,
ლაპარაკობს თევზი, მაგრამ
მისი არვის არ ესმის?!



მხატვარი
თაა მიქაია



გამოიკონ პაცაჩუშა

ვენახიდან მიმაქვს შინ,
ჭერზე მინდა დავკიდო,
რტოს, მტევნებით დახუნძლულს,
თქვით, რა ჰქვია?

--	--	--	--	--	--

ფურთხება უყვარს, კუზი აქვს
ორი, ან ერთით ნაკლები,
ზრდილობა ვერ უსწავლია,
რა ცხოველია?

--	--	--	--	--	--

სახლ-კარად არჩია
კლდე, ცამდე აწვდილი,
ფრინველთა მეფეა,
რა ჰქვია?

--	--	--	--	--	--

წებოს, მაცრაქისა და ფანჯრის გარეშე!

ამ ქალაქის ნაკუნებზე ორი ქართული
ანდაზა წერია.

ეს ნაკუნები უწესრიგოდ არის გაბნეული.
მათი კიდები ყველგან სხვადასხვანაირად
არის შეჭრილ-შემოჭრილი. ეს დაგეხმარება,
თანმიმდევრობით მიუსადაგო ერთმანეთს
ნაწილები. არც წებო იხმარო, არც ფანჯარი და
არც მაკრატელი, ყველაფერი გონებაში შეაერთე
და წაიკითხე.

ვისთ ნს ის


ვინ თაბ

ვის კატ


ცაოი თაე

აოიბ აც ლო

მიაო ებსო



მხატვარი
კესო ფრანგიშვილი



საქართველოს პატრიარქის სტიქია



ყჩინაიი ფასასყნები

ფუსუსუნები ვთქვი, თორემ ფუსფუსუნები უფრო არიან, იმიტომ, რომ გაუთავებლად დაფუსფუსებენ. დილით, ჯერ თვალის რომ არ გამიხელია, შემომიხტებიან თავში, სხეულში, აფუსფუსდებიან და მეუბნებიან: ადექი, დროზე მოწესრიგდი, ლოცვის წაკითხვა არ დაგავინყდეს, მერე ისაუბრე და სკოლისკენ მოუსვით.

გაკვეთილზე ხანდახან მეც მინდა ვიცელებო, ქალაქის თვითმფრინავი ან მარაო გავაკეთო, ან გვერდით მჯდომს ავაცალო რაიმე ნივთი და ვანვალლო, მაგრამ ვაი, რომ ვერაფერს ვაკეთებ. როგორც კი გავიფიქრებ, ასე და ასე მოვიქცევი-მეთქი, ვილაც უჩინარი ისეთ წკიპურტს მითავაზებს შუბლში ან ისე ჩუმად ამანინკნის ყურს, თან ბუტბუტებს: ასეთი სისულელეები როგორ მოგდის თავშიო, რომ იძულებული ვარ, გავსწორდე მერხზე და მთელი გულისყურით მოვუსმინო მასწავლებელს.

ხანდახან მგონია, ამ უჩინარ ფუსუსუნებს გაკვეთილზე სწორედ მასწავლებელი მიგზავნის, მაგრამ, შინაც რომ არ მასვენებენ, გზაშიც რომ თან დამყვებიან, ეს როგორ ხდება, ვერ გამიგია.

ერთხელ, დილით რომ წამომასტუნეს, ხელ-პირი დავიბანე, ტანთ ჩავიცვი და დილის ლოცვაც ჩავაბულბულე, ამიტყდნენ: დროზე ისაუბრე, სკოლაში ადრე წადი, იქ შენი თანაკლასელი გელოდებაო. დრო ჯერ კიდევ მქონდა, მაგრამ ვინ მომასვენა. თითქოს ფეხებში მილიტინებდნენ, ისე მივრბოდი სკოლისკენ. და, ჰოი საოცრება, კლასში შესულს მართლაც შემომეგება თანაკლასელი: ესა და ეს ამოცანა ვერ გავიგე, როგორ უნდა ამოვხსნაო. მე, ჩემი ფუსუსუნების წყალობით, დავალებები შესრულებული მქონდა და, რა თქმა უნდა, ის ამოცანაც მენერა. დავსხედით მერხთან, ერთად წავიკითხეთ ამოცანის პირობა, ავუხსენი, როგორ გავაკეთე და ადვილად მიხვდა.

იმ დღეს კმაყოფილი დავრჩი, ფუსუსუნებს რომ დავუჯერე, რადგან კლასელი ორიანს გადავარჩინე.

ერთხელაც სკოლიდან მოვდიოდით. არსად გვეჩქარებოდა; ხან რას ვყვებოდით, ხან რას. ჩვენ წინ ერთი მოხუცი ქალი ჩანთებს ძლივს მიათრევდა. მიხმარება არავის უფიქრია. მეც მეზარებოდა. შემომიხტნენ უჩინარი ფუსუსუნები, სხვას რომ არაფერი გაეგო, ისე აჩურჩულდნენ, აბუტბუტდნენ: როგორ არა გრცხვენიაო? შენ სხვას რას უყურებ, სახლში მოხუცი არ გყოლიაო? ასე უნდა მოიქცეო? – მოკლედ, აღარ მომასვენეს, სანამ იმ მოხუცთან არ მივედი, დახმარება არ შევთავაზე და ჩანთები არ ჩამოვართვი. მართლაც, მძიმე იყო ორივე კლასელი ბიჭი წამომენია: მომეცი, ერთსაც მე წამოვიღებო. მოხუცი ქალი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული შემოგვცქეროდა. როცა სახლის კარამდე მივუტანეთ ჩანთები, იმდენი გვლოცა, იმდენი, და შინაც შეგვიპატიჟა. არ შევყვეით, მოგვერიდა. დავემშვიდობეთ და კისრისტეხით დავეშვიტ კიბეზე.

მე ასე ვფიქრობ, უნ?

ხან ვიფიქრებ, ეყოფათ, რაც თავიანთ ჭკუაზე მატარეს, დღეიდან აღარ დავუჯერებ-მეთქი, მაგრამ ვერაფერს ვანყო; იმიტომ, რომ როცა მათ ვუჯერებ, საქმე კარგად მიმდის: სკოლაშიც კარგად ვსწავლობ, შინაურებსაც ვეხმარები რალაც-რალაცებში და ზოგჯერ მეზობლებიც მაქებენ, ქება კი, მოგეხსენებათ, ფრიად სასიამოვნო რამ არის.

ამიტომ ზოგჯერ პირიქით, ვფიქრობ, რომ იმ ფუსუსუნა-ფუსფუსუნებს უფრო კარგად მოვუსმინო და უფრო მეტად დავუჯერო. აგერ, სასკოლო ოლიმპიადაზე გასვლა რომ დამეზარა და ამდენი საყვედური მივიღე, წიგნს რომ ვერ მოვუფრთხილდი და ყდა მოსძვრა, ბებოს საყვარელი ფინჯანი ჩემი დაუდევრობის გამო რომ გატყდა... და კიდევ, ვინ იცის, რამდენი საქმე მაქვს გამოსასწორებელი. იქნებ, ესეც შევძლო.

მე ასე ვფიქრობ, შენ?



მათხოვარი და მუსიკოსი

„დილის“ არქივიდან

ვენაში, ერთ ქუჩაზე, ბრმა მათხოვარს ადგილი ჰქონდა ამორჩეული, სადაც საღამოობით ვიოლინოს უკრავდა ხოლმე. გვერდით მუდამ ძალი ჰყავდა, რომელსაც პირით ქუდი ეჭირა. გამვლელებს ბრმა ებრალებოდათ და ხშირად რამდენიმე გროშს ჩაუგდებდნენ ქუდში.

ერთ საღამოს, მიუხედავად იმისა, რომ ბრმა დიდხანს უკრავდა, ქუდში ერთი გროშიც არავის ჩაუგდია. მათხოვარი დაღონდა და დაკვრა შეწყვიტა.

უცებ ვიღაც უცნობი მივიდა მასთან და კეთილი ხმით მიმართა:

– თქვენ, როგორც გატყობთ, დაილაღეთ. მათხოვრეთ ვიოლინო და ცოტა ხანს თქვენ მაგიერ დავუკრავ.

ბრმამ საკრავი მიანოდა.

უცნობმა ვიოლინო მომართა და დაუკრა. ქუჩაში მუსიკის ჯადოსნური ხმა გაისმა. დიდძალი ხალხი შეგროვდა. უცნობი გრძნობითა და გატაცებით უკრავდა. მომაჯადოებელი მელოდია ყველა მსმენელის სულსა და გულს სწვებოდა. კვნესოდა ვიოლინო, თითქოს ბრმა მოხუცის ბედს დასტირისო. აი, უკანასკნელად ამოიქვითინა და მუსიკაც შეწყდა.

ხალხი გამოერკვა და მათხოვრის ქუდში ფულების ცვენა დაიწყო. ქუდი ისე დამძიმდა, რომ ძალს ძლივსღა ეჭირა.

უცნობმა ვიოლინო პატრონს დაუბრუნა და ნასვლა დააპირა, მაგრამ მათხოვარი ზეზე ნამოდგა და შეეკითხა:



მხატვარი
მალხაზ კუხაშვილი

ცნობილი

ადამიანების

ცხოვრებიდან

ნიკოლო პაგანინი

იტალიაში, გენუის ერთ-ერთი ქუჩაზე, რომელსაც შავი კატის შესახვევს უწოდებდნენ, ერთი ჩვეულებრივი სახლი დგას. ფანჯრებს შორის მარმარილოს პატარა დაფაზე ასეთი წარწერაა:

„ამ უბრალო სახლს ბედნიერება ხვდა წილად – აქ 1782 წლის 27 ოქტომბერს სამყაროს გასახარად დაიბადა გენუის სიამაყე ნიკოლო პაგანინი – ღვთიურ ჰანგთა ხელოვნების უბადლო ოსტატი“.

ლეგენდარული იტალიელი მევიოლინე და კომპოზიტორი ამ სახლში დედ-მამასთან და ხუთ და-ძმასთან ერთად ცხოვრობდა. მამას, ანტონიოს, პატარა დუქანი ჰქონდა ნავსადგურში. მას ძალიან უყვარდა მუსიკა და თავადაც უკრავდა მანდოლინას, თუმცა ამას გენუელი მედუქნისთვის სახელი და დიდება არ მოუტანია – მხოლოდ მუშტარს თუ ართობდა.

ნიკოლო ხუთი წლის იყო, როცა მამამ მისი განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭი შენიშნა და იფიქრა, რომ თუ მას არ გამოუვიდა, შვილი მაინც მიაღწევდა წარმატებას. მანდოლინის დაკვრა თავად ასწავლა მომავალ ვირტუოზს, მევიოლინის ოსტატობის ასათვისებლად კი მასწავლებელს მიაბარა.

13 წლის იყო ნიკოლო, როცა პირველი წარმატებული კონცერტი გამართა. მისი სახელი მალე გასცდა იტალიას. 1827-1828 წლებში ნიკოლომ დაიპყრო ვენა – ევროპის მუსიკალური ცენტრი. შემდეგ – პრაღა, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი... მისი ტრიუმფალური გამოსვლებით ხალხი აღფრთოვანებული იყო.


მალე იმდენად ცნობილი გახდა, რომ კონდიტერები ტკბილ ღვეზელებსა და ბისკვიტებს პაგანინის სახელს არქმევდნენ; მოდამაც მის ჩაცმულობას მიჰბაძა, გაჩნდა ბაფთები „ა-ლა პაგანინი“, იყიდებოდა ცხვირსახოცები, ლილები, ჩიბუხები და სამკაულები მისი გამოსახულებით...

მაესტრო პაგანინი სცენიდან მაგიურ გავლენას ახდენდა მაყურებელზე. მას შეეძლო ვიოლინოს საშუალებით მიეზაძა ჩიტების ჭიკჭიკისთვის, ძროხის ბლავილისთვის, ფუტკრის ბზუილისთვის, ზოგჯერ კი სხვადასხვა მუსიკალური საკრავის იმიტაციით ხიბლავდა მსმენელს. ერთხელ კონცერტზე ვიოლინოს მხოლოდ ორ სიმზე შეასრულა კომპოზიცია.

– თქვენ აღარაფერს უტოვებთ სხვებს, – უთხრა კონცერტის შემდეგ ერთ-ერთმა აღფრთოვანებულმა თაყვანისმცემელმა, – ამის შემდეგ განა ვინმე შეძლებს, გაჯობოთ? მხოლოდ ის, ვინც ერთ სიმზე დაუკრავს. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია!

ამბობენ, პაგანინის ეს იდეა იმდენად მოეწონა, რომ რამდენიმე დღეში დაწერა სონატა ერთი სიმისთვისო.

ნიკოლო პაგანინის მიერ შექმნილი ბევრი ნაწარმოები დღემდე ვერც ერთმა მუსიკომა ვეღარ შეასრულა, რადგან გაუგებარია, როგორ უკრავდა მათ ეს ფენომენალური ადამიანი.



წვიმა

წკაპ-წკუპ,
წკაპ-წკუპ!
წვიმა მოდის ურჩად,
დაასველა ქუჩა!
წკაპ-წკუპ, წკაპ-წკუპ!
თავზე მუშტებს ახლის,
დაასველა სახლი!
გუბებში დახტის,
და განუნა ბატი!
წკაპ-წკუპ, წკაპ-წკუპ!
დატანტალებს რატომ?
გაკრიალდა ავტო!
გასუფთავდა ქუჩა!
იბანავა ბურქმა!

გამოცოცხლდა წყარო
და ჯეჯილიც ხარობს!
წკაპ-წკუპ,
წკაპ-წკუპ!
წვიმა ასე მღერის:
აბა, ჰერი, ჰერი!
თუ მოდიხარ სახლში,
ნაბიჯს მოუჩქარე!
თუ გადიხარ გარეთ,
ქოლგა დაიფარე!
წკაპ-წკუპ!

მხატვარი
თაა მიქაია



ჯეთიღი მეგობრები

იყო ერთი პატარა ჭიანჭველა, რომელსაც მეგობარი არ ჰყავდა და სულ მონყენილი იჯდა სახლში. არც და ჰყავდა და არც ძმა. ერთხელ, როცა ჭიანჭველა სასეირნოდ გამოვიდა, გზაზე ჭიანჭველაჭამია გადაეყარა, თუმცა ვერ შეამჩინია. უცბად ჭიამია მოფრინდა, ჭიანჭველას ხელი სწრაფად ჰკრა და შეაშინა. ჭიანჭველა ჭიანჭველაჭამიას გადაურჩა. ატირებული ჭიანჭველა სახლში გაიქცა. მეორე დღეს სახლიდან არ გამოსულა. მესამე დღეს საჭმლის შესაგროვებლად გამოსულ დედას გამოჰყვა. სწორედ ამ დროს ის ჭიამია მოფრინდა და ჭიანჭველას მოუბოდიშა, მხოლოდ შენი გადარჩენა მინდოდაო. ჭიანჭველამ მადლობა გადაუხადა. მერე კი დამეგობრდნენ. მომდევნო დღეს ტყეში წავიდნენ. ჭიანჭველამ მინაზე ჩამოვარდნილი ერთი პატარა თხილი იპოვა და მეგობარს გაუყო. მალე დაუღამდათ. აცივდა. საცოდავები ერთმა კალიამ შენიშნა. ჭიანჭველა და ჭიამია სიცივისგან კანკალებდნენ. კალიას თვალებზე ცრემლი მოადგა, მეგობრებს დაუძახა და შინ შეიპატიჟა. ისინიც შევიდნენ, ჯერ ბუხართან გათბნენ, მერე კი დაიძინეს.

გათენდა. მეგობრებმა კალიას დახმარებისთვის მადლობა გადაუხადეს და დაემშვიდობნენ.


გარეთ ჭიანჭველას და ჭიამიას ლამაზი პეპელა შეხვდათ. პეპელა შურიანი იყო. მეგობრებმა პეპელას უთხრეს, შურიანობა ცუდია, სჯობს ჩვენთან იმეგობროო. პეპელაც დაეთანხმა. დროს ერთად ატარებდნენ, თამაშობდნენ. ცოტა ხანში მშობლებმა მოიკითხეს, ეძებდნენ, ნერვიულობდნენ. მეგობრები ერთმანეთს დაემშვიდობნენ და სახლებში დაბრუნდნენ. შეშინებული მშობლები ეჩხუბნენ, მათ კი თავიანთი თავგადასავალი უამბეს. მშობლებმა ეს რომ გაიგეს, ატირდნენ და უთხრეს, სახლში მარტო რომ არ ისხდეთ, ყოველ შაბათ-კვირას ერთმანეთს ესტუმრეთო. ამის შემდეგ მეგობრები დროს ხშირად ატარებდნენ ერთად.

ტექსტი და ნახატი 8 წლის
თინათინ აბგარდნიშვილისა





მომზადა
ლელა ცუცქირიკაძე



შეავსე კროსვორდი და ფერად სვეტში მიიღებ ყველასთვის საყვარელი ქართველი საბავშვო მწერლის სახელსა და გვარს.

6. მსხლის, ფორთოხლის, ლიმნის, ატმის, ყველას უყვარს ...

7. საკვამურში საჩუქრით ძვრება სანტა ...

8. ხან იქით და ხანაც აქეთ ყვავილებს და ფოთლებს არხევს.

9. აკნატუნებს თხილს და გირჩებს, ბინად ფულუროებს ირჩევს.

10. ხან ზოლიანი და ხანაც ჭრელი, პეპის ცალ ფეხზე აცვია გრძელი.

11. სიფრიფანა ფურცლები აქვს, არ აშინებს თოვლი, გაზაფხულზე სულ პირველად ეს ყვავილი მოდის.

12. ხან მრგვალია, ხან ჰგავს ნამგალს, მზე ამოვა, ის კი ჩავა.

1. დაგჭირდება ქოლგა, ბოტი, როცა ციდან ... მოდის.

2. ერთი, განა ათასი, შვილი უზის ჩანთაში.

3. ტანზე წინკლები აყრია, იცის, მზეა თუ ქარია.

4. მთელი ღამე ციმციმებს, დღისით ალბათ იძინებს.

5. ღამით ღვიძავს, თან დაფრინავს, დღისით სძინავს თავდაყირა.

იპოვე
ნახატე და
საგნები



მხატვარი
ნატალია კუცია



მთავარი რედაქტორი ლელო ნიჭიძე
 ნახატი ყდაზე: გიორგი მალრაძისა
 მის.: ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com, facebook: საბავშვო გამომცემლობა დილა
 ფასი: 2.50 ლარი

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და სსიპ „მწერალთა სახლის“ მხარდაჭერით.

